

თუ თქვენ გაქვთ ბიზნეს იდეა, დამოუკიდებლად მოიპოვეთ ქვემოთ მოყვანილი ინფორმაციები, რათა შეამოწმეთ თქვენი თავი თუ რამდენად არის განვითარებული თქვენში მეწარმის უნარ-ჩვევები

პოტენციური მეწარმის ანკეტა

ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადებისთვის საჭირო ინფორმაცია

თქვენი/პოტენციური მეწარმის მონაცემები

უპასუხეთ მხოლოდ იმ კითხვებს, რომელიც ეხება თქვენს ბიზნეს იდეას

1. როგორია თქვენი იდეა ბიზნესის დაწყებაზე?

1) თქვენი ბიზნესის ადგილმდებარეობა სად დააფუძნებთ თქვენს ბიზნესს?

2) რა პროდუქცია/მომსახურება გინდათ აწარმოოთ/გაყიდოთ?

3) ვინ იქნება თქვენი პოტენციური მომხმარებელი (მომხმარებელი-ვინ იქნება? საცხოვრებელი ადგილი/დასახლება? რა სახის პროდუქცია/მომსახურება სჭირდებათ მათ? და ა.შ.)

4) ამჟამად ვინ ყიდის ანალოგიურ პროდუქტს/მომსახურებას? (თუ იცით ვინ არიან თქვენი პოტენციური კონკურენტები? სად არიან ისინი განთავსებულნი? რას ყიდიან? და ა.შ.)

5) თუ თქვენ წარმოების სფეროში გინდათ აწარმოოთ ბიზნესი, როგორ ფიქრობთ თქვენი პროდუქციის/მომსახურების გაყიდვას თქვენს პოტენციურ მომხმარებელზე? გაყიდით თქვენ თვითონ, სავაჭრო ფირმების, თუ დისტრიბუტორების მეშვეობით? როგორ ყიდიან თავიანთ პროდუქციას/მომსახურებას თქვენი პოტენციური კონკურენტები?

6) რა ფასად გაყიდით პროდუქციას/მომსახურებას? რის საფუძველზე დაადგინეთ ასეთი ფასები?

7) რა ფასად ყიდიან თქვენი შესაძლო კონკურენტები პროდუქციას?

8) როგორ აპირებთ იმის უზრუნველყოფას, რომ მომხმარებელი თქვენთან შეიძენს მისთვის საჭირო საქონელს/მომსახურებას? [მაგალითად: გამოიყენებთ რეკლამას? როგორ აპირებთ თქვენი საქონლის/მომსახურების რეკლამირებას? გამოიყენებთ სარეკლამო აბრებს? რამდენი სარეკლამო აბრა დაგჭირდებათ? სად განათავსებთ მათ? გამოიყენებთ თუ არა სავაჭრო აგენტებს? რამდენი აგენტი დაგჭირდებათ და სად მოიძიებთ მათ? და ა.შ.]

9) რამდენი დაგიჯდებათ პოტენციური მომხმარებლის მოზიდვა? [მაგალითად: რეკლამის ღირებულება, სავაჭრო აგენტების მომსახურება? და ა.შ.]

10) რამდენის გაყიდვას აპირებთ, ან გეგმავთ საშუალოდ დღეში/ყოველკვირეულად/ყოველთვიურად?

11) რამდენის გაყიდვას აპირებენ, ან გეგმავენ თქვენი კონკურენტები საშუალოდ დღეში/ყოველკვირეულად/ყოველთვიურად?

12) სად და როგორ აპირებთ თქვენი საქონლის მიწოდებას?

2. რა არის თქვენთვის აუცილებელი, რომ მართოდ თქვენი ბიზნესი?

1) თქვენი ბიზნესის დაწყებისათვის აუცილებელია თუ არა ლიცენზიის, ან სპეციალური ნებართვის აღება.

2) რამდენია გადასახდელი/გადახდილი, რომ აიღოთ/აიღეთ ასეთი ლიცენზია ან ნებართვა.

3) რა ფართის შენობა დაგჭირდებათ? ეს იქნება კაპიტალური შენობა თუ დროებითი ნაგებობა?

4) შენობას აიღებთ იჯარით თუ უნდა იყიდოთ? შეიძლება ააშენოთ ახალი შენობა/ფართი?

5) რამდენი დაგიჯდებათ თქვენთვის საჭირო საწარმოო ფართის ყიდვა, იჯარით აღება, ან აშენება?

6) დაგჭირდებათ თუ არა ელქტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი? რამდენი: ყოველ დღე/კვირა/თვე? სავარაუდოთ, თანხობრივად რა დაგიჯდებათ?

7) რა სახის მოწყობილობა, აღჭურვილობა, სატრანსპორტო საშუალება, ინვენტარი და ა.შ. დაგჭირდებათ? რამდენი დაგჭირდებათ? სად უნდა შეიძინოთ? [თუ თქვენ არა გაქვთ ინფორმაცია, იქნებ შეძლოთ გაიგოთ თქვენი შესაძლო კონკურენტებისგან და შემდეგ გადაწყვიტოთ თქვენ რა დაგჭირდებათ].

8) აიღებთ თუ არა იჯარით/ლიზინგით ან იყიდით აუცილებელ მოწყობილობებს, სატრანსპორტო საშუალებებს, ინვენტარს და ა.შ., რა დაჯდება მათი იჯარა/ლიზინგი/ყიდვა?

9) თუ თქვენ აპირებთ საცალო ან საბითუმო ვაჭრობის ორგანიზებას, სად შეიძენთ პროდუქტებს/საქონელს, რომლის გაყიდვასაც აპირებთ? რა თანხის ჩაღებას აპირებთ? სად და რა ფასად ყიდულობენ თქვენი შესაძლო კონკურენტები მას?

10) თუ გადაწყვეტილი გაქვთ თქვენი ბიზნესი დაიწყოთ მომსახურების სფეროში, რა მასალები დაგჭირდებათ ასეთი მომსახურების გასაწავად? (მაგალითად: სილამაზის სალონს დაჭირდება შამპუნი, საღებავი სახის კრემები და ა.შ. სარემონტო სახელოსნოს დაჭირდება სხვადასხვა ზეთები,

საპოზი მასალები, სათადარიგო ნაწილები და ა.შ.) რამდენი დაგჭირდებათ? სად უნდა შეიძინოთ? სად და რა ფასად ყიდულობენ თქვენი შესაძლო კონკურენტები და მას?

11) თუ გადაწყვეტილი გაქვთ თქვენი ბიზნესი დაიწყოთ წარმოების სფეროში, რა მასალები დაგჭირდებათ, რომ გამოუშვათ პროდუქცია გასაყიდად? რა სახის და რა რაოდენობის ნედლეული დაგჭირდებათ პროდუქციის ერთი ერთეულის დასამზადებლად, მაგ: ერთი მაგიდის? სად უნდა შეიძინოთ მასალები? სავარაუდოდ რა ფასში შეძლებთ მის შეძენას? რა დაგიჯდებათ მასალების ტრანსპორტირება? სად და რა ფასად ყიდულობენ თქვენი შესაძლო კონკურენტები და მას?

3. როგორ აკირებთ თქვენი ბიზნესის მართვას?

1) ყოველდღიურად ვინ წარმართავს თქვენს ბიზნესს? როგორი კვალიფიკაციის და გამოცდილების უნდა იყოს ასეთი პიროვნება? რამდენს გადაუხდით ამ სპეციალისტს? თუ გყავთ ასეთი პიროვნება შერჩეული?

2) ოჯახის წევრებიდან ვინმე თუ იქნება ჩართული თქვენს ბიზნესში? კერძოდ ვინ? თუ აქვთ მათ ამ სფეროში შესაბამისი გამოცდილება და კვალიფიკაცია? ისინი იმუშავენ მთელი დღის განმავლობაში, თუ დღეში რამოდენიმე საათს? რა მოვალეობის შესრულება დაეკისრებათ მათ? რამდენს გადაუხდით მათ?

3) ბიზნესის არჩეული სფეროდან გამომდინარე უნდა შეირჩეს შესაბამისი სპეციალისტები. თუ წარმოგიდგენიათ რა სპეციალობის და უნარ-ჩვევების მქონე სპეციალისტი უნდა დაიქირავოთ? შეგიძლიათ თუ არა შეაფასოთ პოტენციური თანამშრომლების კვალიფიციურ დონეში განსხვავებები, რათა განსაზღვროთ შესაბამისი ხელფასები?
